ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 01-03-97

ქ. თბილისი 19 მაისი 2017 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **გიორგი მაჩაბლის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: შპს „ჯეო კვება", წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ ჭუმბურიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი გამსახურდიას გამზირი N 21, ბინა 88;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404911253;
საბანკო რეკვიზიტები: სს ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა: GE 65 LB 0113155301598000;

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;

1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებილების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებილების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის (CPV 55521200 - საკვების მიწოდების მომსახურება) 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციების და ტრენინგების მონაწილეთა კვების და ყავა-ჩაის შესვენების მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N 1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2 შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 4 000 (ოთხიათასი ათასი) ლარს;

3.4 **დაფინანსების წყარო:** სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ევროპის საბჭოს შორის 2016 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული Ref No:2016 EDC/HRE PPS 2 FIMS PO N°530137 CEAD N°3655 ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის -

"ინსტრუმენტები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვისათვის" ბიუჯეტი (მიზნობრივი გრანტი).

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო;

4.3 გასაწევი მომსახურების აღწერილობა:

4.3.1 კვებითი მომსახურება (ფურშეტი) გაწეული უნდა იყოს დანართ N 1-ში მითითებული მენიუს მიხედვით;

4.3.2 მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო;

4.3.3 მოწოდებული საკვები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა და ვიზუალურად გაფორმებული;

4.3.4 მომსახურების გაწევის დროს დაცული უნდა იყოს სანიტარული და ჰიგიენური ნორმები მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს მოთავსებული შესაბამის დაცულ კონტეინერში. პროდუქციის ტრანსპორტირების დროს დაცული უნდა იყოს ჰიგიენური ნორმები;

4.3.5 ფურშეტის მომსახურება გაწეული უნდა იყნეს სრულად მიმწოდებლის მიერ საკუთარი ინვენტარითა და პერსონალით;

4.3.6 მიმწოდებელი მოვალეა ყოველ 50 (ორმოცდაათი) პერსონაზე 1 (ერთი) მომსახურე პერსონა, რომელსაც უნდა ეცვას შესაბამისი უნიფორმა;

4.3.7 პრეტენდენტს საკუთრების/ სარგებლობის ფორმით უნდა გააჩნდეს მომსახურების გაწევის აუცილებელი ინვენტარი (ჭურჭელი, მააგიდის გადასაფარებელი, საჭიროებისამებრ მაგიდები).

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (წერილობითი, ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის მეშვეობით) ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით. შესაძლებელია მომსახურების გაწევა განხორციელდეს არასამუშაო დღეს;

5.2 მომსახურების გაწევა ძირითადად განხორციელდება შემსყიდველის შენობაში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N 1-ში. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია მომსახურების გაწევა განხორციელდეს თბილისის სხვა ტერიტორიაზე.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

6.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება არიან სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის

სამსახურის მთავარ სპეციალისტს მაია ნაკაშიძეს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმების დღიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.2 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % ოდენობით;

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერი რატი ღვამბერია ან/ და ლოჯისტიკი გიორგი ფერაძე, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმდაგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 2 ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

16.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული	შპს „ჯეო კვება“
განვითარების ეროვნული ცენტრი	
_____	_____
გიორგი მაჩაბელი	**მარიამ ჭუმბურიძე**
დირექტორი	დირექტორი

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება შპს „ჯეო კვება“

№	მენიუს დასახელება	ერთეულის ფასი
1	ბარბექიუ (მინიმუმ 100 გრ)	1.8
2	ქათმის ბურთები (მინიმუმ 100 გრ)	1.5
3	ქათმის „ლოკოკინა“ (შემწვარი ქათმის ხორცი,ლოკოკინის ფორმით, გაფორმებული) არანაკლებ 100 გრ	1.5
4	ქამა სოკო ჰოლანდიური ყველით	1.1
5	ქამა სოკო ნიგვზით	1.1
6	ფხლოვანი ღვეზელი არანაკლებ 100 გრ	1
7	კანაპე (ლორით)	1.1
8	კანაპე ძეხვით არანაკლებ 100 გრ	1.1
9	კანაპე ჰოლანდიური ყველით	1.1
10	კანაპე ორაგულით	2
11	კანაპე ბადრიჯნით და მჭადით	1.3
12	კანაპე ისპანახით და მჭადით	1.2
13	კანაპე ქათმის (შემწვარი ქათმის ხორცი, გაფორმებული) არანაკლებ 100 გრ	1.5
14	ნიგვზიანი ბადრიჯანი	1.3
15	სალათი- ბოსტნეულის არანაკლებ 100 გრ	1
16	სალათი- თევზის არანაკლებ 100 გრ	1.6
17	სალათი- ქათმის არანაკლებ 100 გრ	1.2

18	სალათი- ვინეგრეტის არანაკლებ 100 გრ	1
19	ბლინი ხორცის არანაკლებ 100 გრ	0.6
20	მდნარი ყველი	0.3
21	საწებელი	0.3
22	ღვეზელი ქათმის არანაკლებ 100 გრ	1
23	ღვეზელი ხორცის; არანაკლებ 100 გრ	1
24	ღვეზელი ტარხუნის; არანაკლებ 100 გრ	1
25	ღვეზელი კარტოფილის; არანაკლებ 100 გრ	0.8
26	ღვეზელი სოკოს; არანაკლებ 100 გრ	1
27	ხაჭაპური არანაკლებ 120 გრ	1
29	სენდვიჩი (სენდვიჩის პური, საქონლის ან ქათმის ხორცით, თევზით, ძეხვით, ბეკონით,სალათის ფურცელი ყველი სოუსი	1.5
30	პური არანაკლებ 2 სახეობის	0.2
31	ნამცხვრის ასორტი (ასორტში იგულისხმება არანაკლებ 4 სახეობის; თითოეული მინიმუმ 50 გრ.)	4.4
32	სეზონური ხილის ასორტი (არანაკლებ 5 სახეობის)	7
33	წვენი ნატურალური არანაკლებ 1ლიტრიანი	4
34	წყალი არაგაზირებული/წყაროს წყალი, არანაკლებ 0,5 ლიტრიანი	0.49
35	წყალი გაზირებული/მინერალური არანაკლებ 0,5 ლიტრიანი	0.8

36	ღვინო ბრენდირებული, წითელი, არანაკლებ 200 მლ ჭიქებით	1.2
37	ღვინო ბრენდირებული, თეთრი არანაკლებ 200 მლ ჭიქებით	1.5
38	ყავის შესვენება - ყავა- არანაკლებ 2 სახეობის; ჩაი პაკეტებში; შაქარი; ნამცხვარი კრემით არანაკლებ 2 სახეობის თითოეული მინიმუმ 100 გრ; ნამცხვარი სამარხვო 2 სახეობის (ე.წ „პეჩენია“ არ განიხილება)	6.5

ფასი შეადგენს: **57.99 (ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 99 თეთრი) ლარს**

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნული ცენტრი

მიმწოდებელი:
შპს „ჯეო კვება“

გიორგი მაჩაბელი
დირექტორი

მარიამ ჭუმბურიძე
დირექტორი